პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 169 (4163)

1970 წ. 29 აგვისტო. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ახალი ჰორიზონტები

**გაისის დამდეგს საბჭოთა საქართველო თავის 50 წლისთავს აღნიშნავს. ისტორიისთვის ნახევარი საუკუნე დიდი დრო არაა. მაგრამ დიდია ცვლილებები, რაც საქართველოში მოხდა ამ წლებში...**

გ. დ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ჩვენი, საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, რომელიც ხალხის სულიერი და კულტურული ძალების განმტკიცების მძლავრი საშუალება გახლავთ. საბჭოთა წყობილების ჯერ კიდევ პირველ წლებში ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს შრომით ქვეყანას სჭირდება ფიზიკურად ძლიერი ადამიანების, ნებისყოფიანი, ვაჟკაცური, ენერგიული და მიზანდასახული ადამიანების არმია.

და გასაკვირი როდია, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები ტრადიციად იქცა და მათ ასეთი პოპულარობა მოიპოვეს. სპარტაკიადები საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობისა და წრთობის თავისებურ გამოცდად უნდა განვიხილოთ. მთავარი კი ის გახლავთ რა განსაზღვრავს ჩვენი სპარტაკიადების შინაარსს: ესაა ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი განვითარება, ესაა ხალხის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა.

გაისის დამდეგს საბჭოთა საქართველო თავის 50 წლისთავს აღნიშნავს. ისტორიისთვის ნახევარი საუკუნე დიდი დრო არაა, მაგრამ შეხედეთ, რა ცვლილებები მოხდა ამ წლებში. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით. სასიამოვნოა იმის აღიარება, რომ რესპუბლიკის მშრომელთა სახახელო საქმეების ერთიან ნაკადშია სპორტული მიღწევებიც. საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია მეთერთმეტე წელია ზედიზედ იხვეჭს გარდამავალ წითელ დროშას და საპატიო სიგელს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისთვის საკავშირო შეჯიბრებაში.

დღეს რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს 6820 ფიზკულტურული კოლექტივი აერთიანებს. ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებები და რეკორდები სწორედ ამ საძირკვლის წყალობით შეიქმნა. ბევრმა მათგანმა — ნონა გაფრინდაშვილმა, რომან რურუამ, ალექსანდრე მეტრეველმა, ჩვენმა მოჭიდავეებმა, მთამსვლელებმა, ფეხბურთელებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს 70 წარმომადგენელი სპორტის სხვადასხვა სახეობაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატია. 92 კაცი ატარებს სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალ წოდებას, ხოლო 56 — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებას; მათ აღზრდას და შემდგომ დაოსტატებას ემსახურება სსრ კავშირის 57 დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის 48 დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის 250 დამსახურებული მწვრთნელი. სპორტის 44 სახეობაში, რომლებიც კულტივირებულია რესპუბლიკაში, ბოლო ოთხ წელიწადში მომზადდა სსრ კავშირის 886 სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. მარტო განვლილ ერთ წელიწადში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 14, ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 5 მედალი.

ჩვენი ნებისმიერი ოლიმპიელის, ჩემპიონისა და რეკორდსმენის ბიოგრაფიაში არის ერთი უეჭველი სტრიქონი — სპორტში პირველ ნაბიჯებს თითოეული მათგანი აკეთებდა საკუთარი სკოლის, კოლმეურნეობის, ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში. სწორედ კოლექტივებში იღებენ სტარტს სპორტის ისტორიაში ყველაზე მასობრივი შეჯიბრებები — ჩვენი სპარტაკიადები. ათას, ასეულ ათას მონაწილეში გამოიძებნებიან ტალანტები, რომლებიც ჩვენი დიდი სამშობლოს, საბჭოთა სპორტის დიდებას ზრდიან.

1970 წლის აპრილში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება V რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების თაობაზე. ამ დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული როგორც მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის, აგრეთვე, სპორტის წამყვანი სახეობების — მძლეოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშის განვითარების პრობლემებზე. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანები.

საქართველოს სპარტაკიადის ფინალური ნაწილი გაიმართება გაისად ზაფხულში. ამ მოვლენისადმი მზადება დროულადაა დაწყებული. შედგენილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის სამუშაო გეგმა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. იგი ითვალისწინებს ადგილებზე სპარტაკიადისთვის მზადების მიმდინარეობის შემოწმებას, სპორტული ნაგებობების მშენებლობის კონტროლს, სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას, მათს მზადებას მოსკოვის საპასუხისმგებლო სტარტებისთვის და სხვ. საორგანიზაციო კომიტეტი ამოწმებს და თავის სხდომებზე ისმენს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა მიეძღვნა მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდაში მწვრთნელის როლს. თავიანთ გამოსვლებში რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებმა საჭირბოროტო და საინტერესო პრობლემები წამოაყენეს.

რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ უკვე სტარტი აიღო: საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო მისი ყველაზე მასობრივი ეტაპი — შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებისა და ქალაქების ჩემპიონატები. სტარტზე გამოდიან მოსწავლეები და სტუდენტები, მუშა და სოფლის ახალგაზრდობა. ასპარეზობათა პროგრამაში კლასიკური, ეგრეთ წოდებული ოლიმპიური სახეობების გარდა, შედის ხალხში პოპულარული ეროვნული სპორტის სახეობანი — ჭიდაობა, ლელო, ცხენოსნური თამაშები.

სპარტაკიადას უძღოდა დიდი წინასწარი მუშაობა ადგილებზე მარტივი სპორტნაგებობათა ქსელის გაფართოების, მისი რემონტისა და რეკონსტრუქციის, მსაჯთა აპარატის მომზადებისა და თვით შეჯიბრებების ორგანიზების მიზნით. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის აღებულია ვალდებულება ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის ისეთი პირობები, რომ ახალგაზრდობას ყველგან შეეძლოს ჯანმრთელობის სასარგებლოდ გაატაროს თავისუფალი დრო და თავისი სპორტული ოსტატობა დახვეწოს.

მიმდინარეობს მუშაობა მთელ რიგ მსხვილ სპორტულ მშენებლობებზეც, რომელთა დამთავრების შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდება მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების პირობები. მაგალითად, სულ ახლახან ქუთაისელებმა საჩუქრად მიიღეს შესანიშნავი აუზი. აქ გამართული პირველივე შეჯიბრება ორი საკავშირო და ათი რესპუბლიკური რეკორდით დაგვირგვინდა. წლეულს მწყობრში ჩადგება ფიზკულტურის ინსტიტუტის კიდევ ერთი სასწავლო კორპუსი სპეციალიზებული დარბაზებით მოფარიკავეებისთვის, ძალოსნებისთვის, მოკრივეებისთვის, აგრეთვე, თბილისის ველოტრეკის პირველი რიგი. ეს იქნება თანამედროვე საერთაშორისო კლასის ხისსაფარიანი ნაგებობა, რომელიც დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების გასამართავად გამოდგება. გაჩაღებულია მუშაობა ლესელიძის ოლიმპიურ ბაზებზე — უახლოეს ხანში მზად იქნება ახალი სათამაშო მოედნები, საძინებელი კორპუსი, კვების ბლოკი; რეკონსტრუირებულია ტანვარჯიშული დარბაზი, მძლეოსნური სექტორები. გაისად თბილისში მწყობრში ჩადგება მოჭადრაკეთა და მთამსვლელთა რესპუბლიკური კლუბი, ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნური მანეჟი.

ჩვენი სპორტსმენები და მწვრთნელები ხშირად ჩივიან ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დონეზე აღჭურვილი ბაზების უქმარობის გამო. ასეთი ნაგებობა ჩვენ მართლაც ცოტა გვაქვს. მაგრამ ამოცანა მარტო იმაში როდი მდგომარეობს, რომ ვაშენოთ ახალი სტადიონები, აუზები, დარბაზები, არამედ იმაშიც, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული, ფაქიზად მოვუაროთ ყოველივე ამას და რაციონალურად გამოვიყენოთ.

საორგანიზაციო კომიტეტმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა სიები, აგრეთვე, დელეგაციის ხელმძღვანელი შემადგენლობა — გუნდების უფროსები, უფროსი მწვრთნელები და მათი თანაშემწენი, ექიმები. კანდიდატთა შორის ცნობილ ოსტატთა მხარდამხარ ბევრია ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებიც პირველად გახდნენ ამ პატივის ღირსი. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბევრი პერსპექტიული გოგონა და ჭაბუკი გამოავლინა ახლახან დამთავრებულმა მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ. ახალგაზრდა ტალანტების ძიება შემდგომშიც გაგრძელდება, მაგრამ უკვე წინასწარი ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის შემადგენლობის ნახევარზე მეტი განახლდება.

სსრ კავშირის ხალხთა ყველა წინა სპარტაკიადაში საქართველოს წარმომადგენლებს V ადგილი ეჭირათ. ჩვენ გვისწრებდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები. რათქმა უნდა, ეს შედეგი ერთობ საპატიოა და ასეთი სტაბილურობა იმას ადასტურებს, რომ საქართველოს სპორტსმენთა წარმატების დონე სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე იზრდებოდა, თანაც მთელი ჩვენი სპორტული მოძრაობის განვითარების ტემპს არ ჩამორჩებოდა. მაგრამ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა სულ უფრო იძაბებოდა, პრეტენდენტთა რიცხვი ერთთავად იზრდებოდა. ვიცით, რომ მომავალ სპარტაკიადაში ჩვენი სპორტსმენებისთვის იოლი როდი იქნება თავიანთი ტრადიციული ადგილის დაცვა. 1960-1970 წლებში გამართული საკავშირო შეჯიბრებების ანალიზი მოწმობს, რომ სპორტის რიგ სახეობებში (კალათბურთი, წყალბურთი, წყალში ხტომა) ჩვენმა გუნდებმა შედეგები გააუარესეს და უწინდელი პოზიციები დათმეს.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში ბევრი რამ კეთდება მასობრივი ფიზკულტურის განვითარებისთვის, სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფისთვის. წლითიწლობით ფართოვდება და უმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგრამ სტადიონები, აუზები, კორტები საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია. საერთაშორისო, მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდა შეუძლებელია თვით სპორტსმენთა შრომისმოყვარეობის, მათ მწვრთნელთა დიდი გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნით აღჭურვილობის უქონლად. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ საქართველოს სპორტსმენები და მათი აღმზრდელები მათდამი ზრუნვას ახალი გამარჯვებებით, ახალი სარეკორდო მიღწევებით უპასუხებენ.

(„სოვეტსკი სპორტი").

# მწვერვალებზე...

## პამირის მთიანეთში, კავკასიონზე

როგორც ცნობილია, ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიცია თითქმის თვენახევარს წარმატებით მოღვაწეობდა. ამ ხნის მანძილზე მან 11 მწვერვალი დალაშქრა, მათ შორის, 8 „ექვსათასიანი".

ექსპედიციის ერთი გამარჯვება ისიცაა, რომ ამ ძნელ ლაშქრობაში გამოვლინდნენ ახალგაზრდა მთამსვლელები, რომლებიც სულ ახლო მომავალში სახელოვნად დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას.

ყველა ეს წარმატება საქართველოს მოხიმაღლე მთამსვლელთა ექსპედიციამ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიუძღვნა.

გუშინწინ სახელოვანი მთამსვლელები სამშობლოში დაბრუნდნენ.

ქართველ „პამირელთა" სახელოვან წარმატებებს მხარი აუბეს რესპუბლიკაში დარჩენილმა სპორტსმენებმაც: თბილისის ნაკრები, რომელშიც შედიოდნენ შ. მირიანაშვილი, დ. დანგაძე, ო. ხაზარაძე, ა. გავაშელი და ლ. ღლონტი, დასავლეთ მხარაზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით ავიდა. იერიში მიმდინარეობდა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და 9 დღეს გაგრძელდა.

ეს ასვლა განხორციელდა ტექნიკურად რთული ასვლების კლასში და სსრ კავშირის პირველობის პროგრამით გამართა.

მოიერიშე ჯგუფმა თავისი მიღწევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს უძღვნა.

# მთავარი მიზანი — სპარტაკიადებში!

ქუთაისელ სპორტსმენებს რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში მონაწილეობის კარგი გამოცდილება აქვთ. ისინი ბევრ სახეობაში ღირსეულ მეტოქეობას უწევენ თბილისის ძლიერ კოლექტივებს და არც თუ ისე იშვიათად წარმატებასაც აღწევენ. ყველაზე მაღალ შედეგს მათ შარშან პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მიაღწიეს, როცა II საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ქალაქში ახლაც გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული მომავალი სპარტაკიადებისთვის. ცალკეული გუნდები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, ინტენსიურად იწვრთნებიან, იმაღლებენ ოსტატობას.

ახლახან ვეწვიეთ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს, გავეცანით, რა ღონისძიებებს ატარებენ აქ სპარტაკიადისთვის მზადების მხრივ, დავათვალიერეთ არსებული და მშენებარე ბაზები. მერე რამდენიმე კითხვით მივმართეთ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ზ. ნიჟარაძეს.

● რამ განაპირობა საქართველოს პროფკავშირთა შარშანდელ სპარტაკიადაში ქუთაისის ფიზკულტურული კოლექტივის მიღწევა?

— პირველ ყოვლისა იმან, რომ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ვგრძნობდით ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერას. ორგანიზებულად ვაწყობდით შეჯიბრებებს ძირეულ კოლექტივებში, საქალაქო ტურნირებს, ამხანაგურ შეხვედრებს... დროულად და დიდი გულდასმით დაკომპლექტდა ქალაქის ნაკრები გუნდები, რომელთა უმეტესობას სათავეში ჩაუდგნენ კვალიფიციური, გამოცდილი მწვრთნელები. მათ მუშაობის ნორმალური პირობები შევუქმენით.

● თუ იყო ჩავარდნები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და რა ღონისძიებები დასახეთ მათს გამოსასწორებლად?

— ჩავარდნები იყო. კერძოდ, ეს ითქმის მოცურავეთა, წყალში მხტომელთა, წყალბურთელთა გუნდებზე. ეს კოლექტივები, სათანადო ბაზების უქონლობის გამო, წვრთნას გადიოდნენ წელიწადის მხოლოდ ოთხ თვეს. ასე რომ, მათგან მეტს არც მოველოდით. ამასთან, ამ სახეობებში გამოცდილი მწვრთნელებიც არ გვყავდა. სამწუხაროდ თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ამჟამადაც...

● მომავალი სპარტაკიადისთვის განსაკუთრებით რომელი სახეობების კოლექტივები ემზადებიან?

— ეს ბევრ კოლექტივზე შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით კი ტყვიის მსროლელებზე, ნიჩბოსნებზე, მოფარიკავეებზე, მოკრივეებზე, მოჭიდავეებზე, მძლეოსნებსა და ტანმოვარჯიშეებზე. დიდი იმედი გვაქვს მშვილდოსნებისა, რომლებსაც წვრთნის შ. ჯაშიაშვილი. ჩვენმა მშვილდოსნებმა ხომ ამასწინანდელ საკავშირო უნივერსიადაში III საპრიზო ადგილი დაიკავეს!

● ქუთაისმა წლეულს მიიღო შესანიშნავი ბაზა — კომპლექსური საცურაო აუზი. იგი ალბათ დიდ გავლენას იქონიებს ცურვის სახეობებში უკეთესი წარმატების მოპოვებაში.

— რა თქმა უნდა. ოღონდ ესაა, რომ ამ სახეობებში კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას განვიცდით. ამის გამოსასწორებლად საჭიროა ზემდგომი ორგანოების დახმარებაც. კვალიფიციური მწვრთნელები გვაკლია თანამედროვე ხუთჭიდსა და ფრენბურთშიც.

● ბაზების საქმე როგორღა გაქვთ?

— ფართო ფრონტით გაიშალა მუშაობა არსებული ბაზების კეთილმოწყობისა და ახალი ნაგებობების მშენებლობისთვის. წლის ბოლომდე დამთავრდება კალათბურთის საზაფხულო გადახურული მოედნის მშენებლობა. მწყობრში ჩადგება სპორტული თამაშების დარბაზი ბავშვთა სპორტ-სკოლასთან, აგრეთვე, სატყეო ტექნიკუმის დარბაზი. ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ოთხ დარბაზიანი სპორტული ნაგებობის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ საწვრთნელი პირობები გაუუმჯობესდებათ მოკრივეებს, მოჭიდავეებს, ძალოსნებს, ფრენბურთელებს. მძლეოსნებისთვის „ლოკომოტივი" მძლეოსნურ მანეჟს აშენებს.

ზ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ლელო ინფორმაცია

# ოლიმპიადის „და" ფრთებს შლის

ტურინი, 27 აგვისტო. მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. გრებენიკოვამ გუშინ, ჯერ კიდევ მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების გახსნის ოფიციალურ ცერემონიალამდე, დაამყარა „უნივერსიადა-70"-ის პირველი რეკორდი: ტურინის ახალ აუზში სსრ კავშირის ჩემპიონმა 200 მეტრი ბრასით 2 წუთსა და 47,9 წამში გაცურა. ამერიკელი ს. გუტის ადრინდელი რეკორდი მან 2,2 წამით გააუმჯობესა.

პლანეტის სტუდენტთა სპორტული ფორუმების „სამუშაო ნაწილი" სწორედ აუზში დაიწყო. მოცურავეებთან ერთად გუშინ სტარტი აიღეს წყალში მხტომელებმა და წყალბურთელებმა. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა, რომელიც დაკომპლექტებულია მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის — სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის ბაზაზე, გაიმარჯვა რუმინელებთან შეხვედრაში — 5:1.

გრებენიკოვამ რეკორდი დაამყარა წინასწარ გაცურვაში, როცა ფინალის საგზურები თამაშდებოდა. ალას გარდა ფინალში გავიდა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მექსიკის თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი გ. სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვა (2.48,6).

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ვაჟთა 8 ფინალისტს შორის მოხვდნენ მოსკოველი ვ. შარიგინი (59,9) და ტაშკენტელი ს. კონოვი (1.00,8). ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალებსა და ვაჟებს შორის ფინალისტები გახდნენ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ნ. ლიტვინოვა (1.04,9), ვ. ბურე (54,4) და სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ილიჩოვი (55,0).

საღამოს კი მუნიციპალურ სტადიონზე 80-ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა უნივერსიადის საზეიმო გახსნა, უნივერსიადისა, რომელიც სამართლიანად ითვლება ოლიმპიადის „დად". და მართლაც, ტურინში 62 ქვეყნის 3 ათასამდე სპორტსმენი შეიკრიბა.

უნივერსიადის წმიდა ცეცხლი აანთო იტალიის სახელგანთქმულმა სპრინტერმა ლ. ბერუტიმ.

დღეს „უნივერსიადა-70"-ის მედლებისთვის ბრძოლაში ჩაება 30 ქვეყნის 250 მოფარიკავე. ფავორიტთა რიცხვში არიან მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონები, მინსკელები ვ. ნოვიკოვა-ბელოვა და ესპადრონისტი ვ. სიდიაკი.

გრძელდება შეჯიბრებები აუზში, სადაც გამოვლინდნენ ფინალისტები წყალში ხტომაში — ვაჟთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და ქალთა შორის — კოშკიდან. წინასწარი ხტომების შემდეგ ლიდერობენ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, იტალიელი კ. დიბიასი — 372,3 ქულა (II ადგილზეა მოსკოველი ი. ლობანოვი — 331,11) და ამერიკელი სტუდენტი ქალი კ. პოტერი — 196,56. სარატოველმა გ. კოვალენკომ და მოსკოველმა ტ. ჯენეევამ კოშკიდან ხტომაში მეორე (185,82) და მესამე (182,70) შედეგები აჩვენეს.

კიდევ ერთი რეკორდი: 100 მეტრზე ბრასით ცურვაში 1.17,96 აჩვენა სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვამ. მეხუთე შედეგით — 1.20,6 — ამ დისტანციაზე ფინალისტი გახდა გრებენიკოვაც. უნდა აღინიშნოს, რომ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, იუგოსლაველმა ჯურჯიცა ბიედოვმა წინასწარ გაცურვაში მხოლოდ მერვე შედეგი აჩვენა — 1.23,5.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში ერთობ მოკრძალებული შედეგით (16.43,1) პირველობა მოიგო ჯ. სტრენკმა (აშშ). საბჭოთა მოცურავეები ამ დისტანციაზე არ გამოსულან.



ხურათზე: საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავეები — თბილისის დინამოელი მ. ყულიჯანოვა (მარცხნივ) და ბათუმის სპარტაკელი თ. დოლიძე.
ა. ჩურასაშვილის ფოტო.

# ტურნე ტალინში დამთავრდა

ტალინში, კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ლიტველებთან შეხვედრაში — 75:78 (37:39), ესტონელებმა კი სძლიეს ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ ნაკრებს — 88:82 (41:48).

ტურნირის ლაურეატი გახდა აშშ-ს გუნდი, რომელმაც სამიდან 2 ქულა აიღო და საორგანიზაციო კომიტეტის მთავარი პრიზი დაიმსახურა. ამდენივე ქულა დააგროვეს ლიტვისა და ესტონეთის გუნდებმაც, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით მხოლოდ II-III ადგილები გაინაწილეს.

ესტონელებს შეეძლოთ I ადგილის აღება. ამისთვის მათ ბოლო მატჩი ამერიკელებისთვის სულ ცოტა 10 ქულით უნდა მოეგოთ. ტურნირის მასპინძლებმა პროგრამის ერთი ნაწილი შეასრულეს — დაამარცხეს ძლიერი მეტოქე, ხანუკვარ ათ ქულამდე კი მათ მხოლოდ 2 ზუსტი სროლა დააკლდათ. აშშ-ს გუნდთან წარმატება თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ შემთხვევაში მას გამარჯვებული გუნდისთვის არაფერი მოუტანია: სატურნირო ცხრილის მესამე საფეხური ესტონელებს მარცხის შემთხვევაშიც განაღდებული ჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების ოლიმპიურ კალათბურთს სათავეში ჩაუდგა ჰ. აიბი, დაცვითმა ტენდენციებმა აშკარად წინა პლანზე წამოიწია. იმას ნუ იფიქრებთ, თითქოს აიბი რითიმე იყოს თავდასხმის წინააღმდეგი. პირიქით, იგი მუდამ შემტევი, აგრესიული კალათბურთის მომხრედ ითვლებოდა, მაგრამ როგორც გამოცდილმა და შორსმჭვრეტელმა სპეციალისტმა იგრძნო, რომ სანახაობრივი ეფექტებით გატაცებამ საგრძნობლად შეასუსტა უკანა ხაზის სტაბილურობა და დაცვის სწორი ორგანიზაცია. აიბს მიაჩნია, რომ მყარი, საიმედო დაცვა თავდასხმის ყველაზე ნაღდი საშუალებაა. და აგერ უკვე რამდენი წელია, განუხრელად ახორციელებს ამ პრინციპს.

ამერიკელები ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში მუდამ ახალი კუთხით წარმოგვიდგენენ დაცვის ორგანიზაციულ მხარეს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, როცა გუნდს უშუალოდ აიბი ამზადებს. მახსენდება კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ნ. სემაშკოს სიტყვები მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ: მომავალ ოლიმპიადაში ამერიკელები დაცვაში უეჭველად ახალ სიტყვას იტყვიანო. ვიცე-პრეზიდენტის რწმენა დამყარებული იყო იმ უბრალო ფაქტზე, რომ აიბი დღეს დაცვითი ტენდენციების ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტია.

ის რომ, შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების დაცვამ ტალინში ყველაზე ეფექტურად და იმედიანად ითამაშა, ამ აზრის ნაწილობრივი დასაბუთებაცაა. დიახ, ამერიკელებმა ყველაზე ცოტა ბურთი მიიღეს თავის კალათში და ეს იყო მათი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

რამდენიმე სიტყვა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებზე, რომელმაც ტალინის საერთაშორისო ტურნირში ბოლო ადგილი დაიკავა და ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო. საქმე ისაა, რომ გუნდი, რომელიც ი. ოზეროვმა ორწლიანი პერსპექტიული გეგმით მიიღო, ჯერჯერობით არასტაბილურია შემადგენლობის მხრივ. მისი სამი წევრი — მილოსერდოვი, დვორნი და ქვიგურსი სულ ახლახან ათენში ასპარეზობდნენ და „ცხელ გულზე" შეუერთდნენ თანაგუნდელებს, რომლებთანაც ადრე არ უთამაშიათ. სახელდახელოდ შედგა ნაკრები, რომელმაც ვერ მოასწრო მოსკოვის ტურნირის დამთავრება და რამდენიმე წევრი უკვე ტურინის უნივერსიადაში მიავლინა. შემადგენლობის ასეთი იძულებითი დენადობა, ჩემი აზრით, მთავარი მიზეზია იმისა, რომ ტალინში სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა უფერულად ითამაშა. ისე კი გუნდი თავისი საბრძოლო პოტენციალით საკმაოდ ძლიერია (სხვათა შორის, მასში ჩვენი 4 თანამემამულე გამოდის: ჩხიკვაძე, პულავსკი, ბიჭიაშვილი და ქორქია).

ტალინის საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ:

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 1 | 231—221 | 2 |
| ლიტვა | 2 | 1 | 236—232 | 2 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 249—247 | 2 |
| სსრკ | 0 | 3 | 215—231 | 0 |

როგორც უკვე ვთქვით, ამერიკელმა კალათბურთელებმა დაამთავრეს ტურნე სსრ კავშირში: მოსკოვში, კიევსა და ტალინში 8 შეხვედრა გამართეს. 5 ბრძოლა ამერიკელებმა მოიგეს (სამჯერ — სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან და თითოჯერ — ჩეხოსლოვაკიასთან და ლიტვასთან), სამი წააგეს (სსრ კავშირის, უკრაინისა და ესტონეთის ნაკრებ გუნდებთან). მათი ბურთების ბალანსი ასეთია: 578—548.

ნ. გუგუშვილი.

ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში

## ფიზკულტურის ახალი უმაღლესი სასწავლებელი

ყარაგანდა, 27 აგვისტო. ყაზახეთში გაიხსნა ფიზკულტურის ახალი უმაღლესი სასწავლებელი — ყარაგანდის ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური ინსტიტუტი. სასწავლებელს დაეთმო სასწავლო კორპუსი ტანვარჯიშული და სათამაშო დარბაზებით, სპორტული ქალაქით. სტუდენტები იმეცადინებენ, აგრეთვე, ქალაქის სპორტის სასახლეში, „შახტიორის" სტადიონზე, „დელფინის" აუზში.

ახლა ყაზახეთში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს მოამზადებს ორი უმაღლესი სასწავლებელი, ორი ტექნიკუმი, აგრეთვე, შვიდი ინსტიტუტის ფაკულტეტები და განყოფილებები.

სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი 1970

# ფეხბურთი

11 ზონის I ქვეჯგუფი

## გამარჯვეს სტუმრებმა

საკავშირო გათამაშების მორიგ ტურში ცხინვალის „სპარტაკის" მეტოქე იყო გამოცდილი, ძლიერი გუნდი — ეისკის „ტორპედო".

მართალია, სპარტაკელებმა ეს მატჩიც წააგეს, მაგრამ ისინი გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ, ვიდრე აღრინდელ შეხვედრაში სოხუმის „დინამოსთან". თავდამსხმელებს რომ მეტი სიზუსტე გამოეჩინათ შეტევის დასასრულს, მატჩის ხსნა გუნდისთვის ძნელი არ იქნებოდა.

„ტორპედოს" კართან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. მე-16 წუთზე უშკოვსკის მიეცა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მან კი ახლოდან ააცილა ბურთი მიზანს.

ტორპედოელებმა უფრო უკეთ ჩაატარეს მეორე ტაიმი. 75-ე წუთზე მათ კარგად გამოიყენეს „სპარტაკის" დაცვის შეცდომა და აგიბალოვმა გაიტანა ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი — 1:0.

ცხინვალელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ.

ვ. მელქოევი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ცხინვალი.

I ჯგუფი

# ცვლილება კალენდარში

შეიცვალა თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კალენდარი. 31 აგვისტოს თბილისელები ალმა-ათაში შეხვდებიან ადგილობრივ „კაირათს", ხოლო 4 სექტემბერს ყარაგანდაში ითამაშებენ იქაურ „შახტიორთან".

# თასი აწყურელებს დარჩათ

დამთავრდა რესპუბლიკის თასის — „ოქროს თავთავის" გათამაშება სოფლის ფეხბურთელთა შორის. ამ პრიზისთვის ბრძოლა სამ ეტაპად გაიმართა. თავდაპირველად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები, მომდევნო ეტაპზე გათამაშდა რაიონებისა და ოლქების თასები და, ბოლოს, თასების მფლობელები ჩაებნენ რესპუბლიკის თასისთვის ბრძოლაში. სულ 1030 გუნდმა იასპარეზა.

საბოლოოდ შეიქმნა ფინალური ოთხეული, რომელსაც წრიული სისტემით უნდა დაემთავრებინა ტურნირი. ეს ტურნირი აწყურის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე გაიმართა. სამწუხაროდ, ასპარეზობის დასკვნით ნაწილში მხოლოდ სამმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა: შეჯიბრებას თავი აარიდა წითელი წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის გუნდმა.

აწყურელებთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები. მასპინძლებმა მეტოქეებზე უკეთ ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს: ლაითურელებთან ანგარიშით 3:2, ხოლო მუხურელებთან — 5:1.

ამრიგად, აწყურელებმა ისევე, როგორც შარშან, ხელთ იგდეს რესპუბლიკის თასი.

ლაითურელებისა და მუხურელების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. II ადგილი ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით წილად ხვდათ ლაითურელებს.

შეჯიბრება კარგად იყო მოწყობილი. სანაქებოდ იმუშავა მსაჯთა მრიგადამაც. რასაც ისიც ადასტურებს, რომ მსაჯთა კოლეგიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა.

ახლა ჯერი მიდგა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც ორ ეტაპად გაიმართება. ერთ-ერთი ზონალური შეჯიბრების გამართვა განზრახულია აწყურში, სადაც, მასპინძელთა გარდა, ითამაშებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიისა და უკრაინის გუნდები. ზონებში I-II ადგილებზე გასული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, რომლის დასკვნითი ასპარეზობა გაიმართება ბელორუსიაში.



* * *

სურათზე: რესპუბლიკის თასის მფლობელები — აწყურელი ფეხბურთელები.

თ. გოგოლაძის ფოტო.

# ევროპის მინდვრებზე

დუბლინი, 27 აგვისტო. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის „წინასწარი წრის" მატჩი შედგა ჩეხოსლოვაკიის „გოტვალდოვსა" და ირლანდიის „ბოჰემიანსს" შორის. „გოტვალდოვი" პირველ ტაიმს აგებდა, მაგრამ შემდეგ შესვენების შემდეგ 2 ბურთის გატანა — 2:1.

ბარსელონა, 27 აგვისტო. გუშინ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის „უიპეშტ-დოჟა" და მოსკოვის „დინამო". უნგრელმა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 2:1, შესვენების შემდეგ გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი და გაიმარჯვეს — 3:1 (დინამოელთა მხრივ ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორი იყო ევრიუჟიხინი).

III ადგილისთვის თამაშობდნენ „ბარსელონა" (ესპანეთი) და „შალკე-04" (გფრ). გაიმარჯვეს ესპანელებმა — 1:0.

სან-რემო (იტალია), 27 აგვისტო. აქ მიმდინარე ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში გავიდა სსრ კავშირის „ბურევესტნიკი", რომელმაც ანგარიშით 2:0 მოუგო ტურინის „ტორინოს". ახლა საბჭოთა სტუდენტებს შეხვედრა ექნებათ ტურინის „იუვენტუსთან". მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ „ინტერნაციონალე" (მილანი) — „ატლანტა" (ბერგამო).

ჰელსინკი, 27 აგვისტო. შვეციისა და ფინეთის ნაკრები გუნდების ტრადიციული ამხანაგური მატჩი შვედების გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

სოფია, 27 აგვისტო. დამთავრდა ბულგარეთის 47-ე ეროვნული ჩემპიონატი. ამ ქვეყნის უძლიერესი გუნდის წოდება მოიპოვა დედაქალაქის „ლევსკი-სპარტაკმა".

# პირველი საკონტინენტთაშორისო

ბუენოს-აირესი, 27 აგვისტო. არგენტინული კლუბი „ესტუდიანტესი" (ლა-პლატა) გულმოდგინედ ემზადებოდა საკონტინენტთაშორისო თასის მატჩებისთვის ჰოლანდიის „ფეიენოორდთან". კლუბის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას მოეხსნა დისკვალიფიკაცია მეკარე პოლეტის, მცველების მანერასა და სუარესისთვის, რომლებიც შარშან ხანგრძლივი დროით იქნენ დასჯილი უწესო საქციელისთვის იტალიის „მილანთან" ამავე საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაში.

ფედერაციამ უარით უპასუხა „ესტუდიანტესს" და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონს ბუენოს-აირესში შესუსტებული შემადგენლობით მოუხდა თამაში ევროპის უძლიერეს გუნდთან — „ფეიენოორდთან". მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა კარგად დაიწყეს მატჩი და უკვე მე-9 წუთზე საგრძნობლად დაწინაურდნენ — 2:0.

მაგრამ არგენტინელმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება. ევროპელებმა ტაიმის ბოლომდე გაქვითეს 1 გოლი, ხოლო შესვენების შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

მატჩი, რომელსაც სჯიდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის არბიტრი რ. გლეკნერი (გდრ), კორექტულად ჩატარდა.

ამავე გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება 9 სექტემბერს როტერდამში.

# მეორე ეტაპის ზღურბლზე

დამთავრდა აბაშის რაიონული სპარტაკიადის პირველი ეტაპი — ტურნირები ფიზკულტურულ კოლექტივებში. 9 საზოგადოების 58 ფიზკულტურული კოლექტივის 19 ათასამდე კაცი ასპარეზობდა.

პირველი ეტაპების ტურნირები კარგად ჩაატარეს „კოლმეურნის", „განათლების", განათლების განყოფილების, მექანიკური ქარხნის, საქსოვი ფაბრიკის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა, ძველი აბაშის, ეწერის, სეფიეთის, ტყვირის, სამიქაოს და სუჯუნის საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა განსაკუთრებით ამაღლდა მექანიკურ ქარხანაში, რომლის ფრენბურთელებმა რაიონულ შეჯიბრებაში გამარჯვება და რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში რაიონში შეკეთდა ცენტრალური სტადიონი, შეიქმნა მარტივი ტიპის ახალი ბაზები. ახლა რაიონის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია 3 სპორტდარბაზი, კალათბურთის 42, ფრენბურთის 43 მოედანი, ფეხბურთის 63 მინდორი.

მალე დაიწყება სპარტაკიადის მეორე ეტაპი.

რ. ფანცურია.
(ჩვენი კორ.).
აბაშა.

# მათი არდავიწყებისა იყოს

## მას ჭადრაკით ახარებდა

— აღელვებულს ჭადრაკი მაწყნარებს. ჩემი აზრით, ეს არის ამ ძველთაძველი თამაშის ყველაზე დიდი ღირსება, — ამბობდა გამოჩენილი მოქანდაკე, პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი.

და მართლაც, მოქანდაკის გრძელსა და საინტერესო ცხოვრების გზაზე ჭადრაკი მისი მეგობარი და თანამგზავრია.

ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ნ. კანდელაკის ახლო ამხანაგები იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, აკაკი შანიძე, ნიკოლოზ მახვილაძე და სხვ. ნიკოლოზი სწორედ ამ ხანებში გაეცნო ჭადრაკს, ხოლო თამაშით სერიოზულად დაინტერესდა 10-ან წლებში, პეტერბურგში ყოფნისას.

...ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის სტუდენტობისას ნ. კანდელაკი ბეჯითად სწავლობს, ბევრსაც შრომობს, მაგრამ ჭადრაკს არ ივიწყებს.

იმ წლებში საბჭოთა ქვეყანაში, პირველ ყოვლისა კი ნევისპირა ქალაქში, ჭადრაკმა ფართოდ გაშალა ფრთები. საწარმო-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სოკოსავით გამრავლდა ამ თამაშის შემსწავლელი წრეები, ეწყობა შეჯიბრებები, გამოდის საჭადრაკო ჟურნალი და ა. შ. ბუნებრივია, ამ მჩქეფარე საჭადრაკო ცხოვრებაში ჩაებნენ სამხატვრო აკადემია და მისი აღსაზრდელები. ნ. კანდელაკი ეპაექრება ამხანაგ-მეგობრებს, მონაწილეობს ერთდროული თამაშის სეანსებში. კარგად ახსოვდა თამაში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ი. რობლინის სეანსში. თურმე პარტია მოგებული ჰქონდა, მაგრამ უნებლიე უხეში შეცდომით წააგო. სპეციალურად მოსკოვში ჩასულა 1925 წლის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე დასასწრებად. უნახავს ჭადრაკის კორიფეები ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. რუბინშტეინი, ფ. მარშალი და ბევრი სხვა...

სამშობლოში დაბრუნებული მოქანდაკე მხარში ამოუდგა ი. ნიკოლაძეს და იტვირთა ქართველ ხელოვანთა ახალი თაობის აღზრდა. ნ. კანდელაკის ცხოვრება ბლხავსე იყო შემოქმედებითი ძიებით, გამარჯვებებითა და ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატებისთვის დაუღალავი ზრუნვით და, როგორც თვითონ ამბობდა, ამ ხნის მანძილზე ჭადრაკი არასოდეს მიუტოვებია.

— ჩემი ღრმა რწმენით, — ამბობდა მხცოვანი მოქანდაკე, — საბჭოთა საქართველოში საჭადრაკო მოძრაობის საძირკვლის ჩამყრელნი არიან ჩვენი სახელოვანი მწერლები და პოეტები. მათ დააინტერესეს საზოგადოებრიობა, შეაყვარეს ეს ბრძნული თამაში... ჭადრაკის მასობრიობამ კი შვა ქართველი დედოფალი — მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი!

როგორც ცნობილია, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ხელოვნებას ეუფლებოდა ოსტატი ა. ებრალიძე. ნიკოლოზს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტთან, ისინი ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს. ცხადია, არჩილი იგებდა პარტიებს, მაგრამ ეს როდი უტეხდა გულს მის მეტოქეს...

ნ. კანდელაკი ვ. გოგლიძესაც იცნობდა, ხარობდა მისი წარმატებებით. არაერთხელ უთხოვნია — სახელოსნოში მესტუმრეთ, თქვენი სკულპტურული პორტრეტი უნდა გამოვძერწოო... სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე ჰპირდებოდა — გეახლებითო, მაგრამ არ მისულა. იგი ხომ მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი იყო.

— ძალიან მეამაყებოდა ანდრია დადიანის წარმატებები, რაზეც არაერთხელ მსმენია ახალგაზრდობაში. მინდოდა ახლაც გვყოლოდა კარგი ქართველი მოჭადრაკეები. მოვესწარი და მერე როგორს: ჩემი თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონია! — კმაყოფილებით იღიმებოდა ნიკოლოზ კანდელაკი.

ნ. კანდელაკი მეტწილად ეპაექრებოდა ჭადრაკის მოყვარულ მწერლებს, მოქანდაკეებს, მხატვრებს, სტუდენტებს. თავის დროზე მისი პარტნიორები ყოფილან მწერალი შ. დადიანი, ვექილი ს. ყანჩელი, მხატვარი ვ. ჯაფარიძე, არქიტექტორი მ. ჩხიკვაძე და სხვ.

ერთხელ საუბარში სახელოვანმა შემოქმედმა ასეთი აზრი გამოთქვა:

— ჭადრაკმა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ისეთივე ადგილი უნდა დაიკავოს, როგორც უკავია მუსიკასა და ხელოვნებას. ეს თამაში ზნეობრივად ამაღლებს ადამიანს, ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდაში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია.

დღეს ღვაწლმოსილ მოღვაწეს მადლიერი ქართველი ხალხი უკანასკნელ გზაზე გააცილებს. მისი სახელი სამუდამოდ ელამებდება ქართული ხელოვნების მატიანეში.

თ. გიორგაძე.

[illegible]

✦ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა გამართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანითა და პისტოლეტით სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანით ასპარეზობა მოიგო ჯ. გვაჯაიამ (მე-2 სკოლა), რომელმაც 300-დან 275 ქულა მოაგროვა. პისტოლეტით სროლაში იმარჯვა რკინიგზის რესტორნის თანამშრომელმა ლ. ბესელიამ.

ზ. ალშიბაია.

# რეკორდს გამოედევნენ... საჰაერო ბურთით

პერტი, 27 აგვისტო. საჰაერო ბურთით ფრენის სიგრძეში მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად აქ სტარტი აიღეს ინგლისელმა ლ. ჯონსმა და ავსტრალიელმა მ. გრინტრმა. ისინი სამხედრო-საჰაერო ძალთა მფრინავები არიან და კარგად იცნობენ ავსტრალიის „გზებს".

მოგზაურებს განზრახული აქვთ საჰაერო ოკეანეში 4000 კმ „გაცურონ". ფრენა დაახლოებით 2000 მეტრ სიმაღლეზე მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზე, ჰაერი, წყალი...



არის ტურიზმის ათასგვარი ფორმა, რომელთა შორის ყველაზე მეტად ორია გავრცელებული: „ველური" ტურიზმი და ორგანიზებული. ჩვენ ახლა არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი ორგანიზებული ბოლოს და ბოლოს უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა. ეს საყოველთაოდ ცნობილია და ვინაიდან ამ აზრს ტურიზმის ათასობით მოტრფიალე იზიარებს, ჩვენს მთებსა და ველებს, მდინარეებს, ტბებსა და ზღვებს აქტიური დასვენების უამრავი მიმდევარი ეწაფება.

ერთი პოპულარული სიმღერისა არ იყოს, ადამიანის ჯანმრთელობის ყველაზე ახლო მეგობრები არიან მზე, ჰაერი და წყალი. არაფერი არ აკაჟებს სხეულს ისე, როგორც ბუნების ამ საოცრებათა მადლიანი კურთხევა და ამიტომაა ადამიანსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, მუდამ მოალერსე მზისკენ, ლაღი ჰაერისა და წყლის ლაჟვარდისკენ მიუწევს გული.

დასვენების თანამედროვე საშუალებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარულია გემით მოგზაურობა, სადაც არასდროს იგრძნობა მზის, ჰაერისა და წყლის უკმარობა.

* * *

სურათებზე: საოკეანო ლაინერი „შოთა რუსთაველი" ოდესის ნავსადგურში; გემის საცურაო აუზი მუდამ ხალხითაა სავსე; ესენი კი მზის აბაზანებს ღებულობენ.

მ. ზარგარიანის ფოტო.





## [illegible]

**რიგა.** აქ გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა მშვილდოსნობაში. შესანიშნავად იასპარეზეს ცოლქმარმა ა. და მ. პეუნოვებმა (ლენინგრადი), რომლებმაც რამდენიმე საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

პეუნოვამ 30 მეტრიდან 36 ისრის ტყორცნით 388 ქულა მოაგროვა, ხოლო 72 ისრის ტყორცნით — 662. ორივე შედეგი მსოფლიო რეკორდებს აღემატება. მანვე 50 მეტრიდან 72 ისრის ტყორცნით 576 ქულა დააგროვა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

პეუნოვი ორ რეკორდს დაეუფლა და ორივეჯერ 50 მეტრიდან ასპარეზობაში: 36 ისრით — 311 ქულა (სსრ კავშირის ახალი რეკორდი), 72 ისრით — 616 ქულა (მსოფლიო რეკორდი).

**ბუდაპეშტი.** მოცურავეთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ა. დიარმატიმ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში უნგრეთს დაუბრუნა ევროპის ქალთა რეკორდი, რომელიც მას სამიოდე კვირის წინათ ა. კრაუსმა (გფრ) „წაართვა". დიარმატის შედეგი — 2.26,9 — გერმანელის მიღწევას 0,2 წამით სჯობს. დიარმატიმ მოიგო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაც — 1.00,6. 14 წლის მ. ჰარგიტაიმ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უნგრეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 4.13,5.

**სოფია.** სოციალისტური ქვეყნების ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში პოლონელმა ჩ. მალეცკიმ მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრიდან წოლელა 60 გასროლაში 599 ქულა მოაგროვა. ეს ქულით სჯობს ძველ მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1966 წელს დ. ბოიდამ (აშშ) დაამყარა და 1967 წელს ა. მაიერმა (კანადა) გაიმეორა. შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა ლ. ჰემერლი (უნგრეთი), III — ვ. კოენი (ბულგარეთი) — 595-595 ქულა.

## ახალი ამბები

● **ნიუ-იორკი,** 27 აგვისტო. ნიუ-ჯერსის შტატში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატს უძღვის წინ, ბევრ სახელგანთქმულ ჩოგბურთელს მოუყარა თავი. აქ, მაგალითად, ასპარეზობენ მ. კურტი, ჯ. ტეგარტი (დალტონი), რ. კაზალსი, რ. ლეივერი, კ. როზუელი, ა. ხიმენო. საბჭოთა სპორტსმენები — თბილისელი ა. მეტრეველი და მოსკოველი ო. მოროზოვა მეოთხედფინალში გავიდნენ: მეტრეველმა მეოთხედფინალის საგზური ავსტრალიელი რ. კელდის დამარცხებით (7:5, 7:5) მოიპოვა, ხოლო მოროზოვამ — ამერიკელ მ.-ე. კერტისთან გამარჯვებით (6:3, 6:4).

● **ფონტ-რომე** (საფრანგეთი), 27 აგვისტო. აქ, საფრანგეთის პირენეის მაღალმთიან საწვრთნელ ბანაკში, მასპინძლებმა რამდენიმე ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეს ესპანელ მძლეოსნებთან ასპარეზობის დროს. ჟ. პანი 820 სანტიმეტრზე გადახტა, რაც მეორე მაჩვენებელია წლეულს მსოფლიოში. ჟ. ფენუიმ 100 მ 10,1 წამში გაირბინა, ხოლო გ. დრიუ პირველი იყო 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,4. ფრანგული მძლეოსნობის ვეტერანმა, 41 წლის პ. კოლნარმა ბირთვი 19,39 მეტრზე ჰკრა. ესპანელთაგან თავი გამოიჩინა რ. მაგარინოსმა, რომელმაც ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 46,2.

● **ვიბორგი,** 27 აგვისტო. დანიის ამ ქალაქში გამართულ ასპარეზობაში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბადროს ტყორცნის დიდოსტატები — მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. სილვესტრი (აშშ) და ევროპის რეკორდსმენი რ. ბრუხი (შვეცია). გაიმარჯვა სილვესტრმა — 64,38 მ. ბრუხი მას 26 სანტიმეტრით ჩამორჩა. 800 მეტრზე რბენაში თავი ისახელა დანიელმა გოგონამ, 16 წლის ბ. იენსენმა: იგი ოდნავ ჩამორჩა გამარჯვებულ თანამემამულე ი. დამ-ოლსენს (2.04,5). იენსენმა სკანდინავიის ქვეყნების იუნიორთა რეკორდი დაამყარა — 2.05,4.

● **ვარშავა,** 27 აგვისტო. პოლონეთის ტანმოვარჯიშეებმა მსოფლიო პირველობისთვის მზადების დონე ქვეყნის ჩემპიონატში შეამოწმეს. ვაჟთა შორის კარგად იასპარეზეს ძმებმა კუბიცებმა. ჩემპიონი გახდა ვ. კუბიცა — 115 ქულა. ნ. კუბიცა მას 0,25 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა ე. ზაინა — 114,25, IV ადგილი დაიკავა ს. კუბიცამ — 111,85. ქალებში იმარჯვა ბ. ჟემბამ — 74,65.

● **ჰელსინკი,** 27 აგვისტო. ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა ფინეთისა და აშშ-ს მძლეოსანთა შეჯიბრება. რ. მიეტინენმა უროს ტყორცნაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 66,62 მ. 400 მეტრზე თარჯრბენში 23 წლის ა. სალინმა კი სკანდინავიის ქვეყნების რეკორდის ჰერი ასწია — 50,1. მან 0,4 წამით აჯობა ამერიკელ უ. კოლეტს. 5000 მეტრზე რბენაში იმარჯვა მ. ალა-ლეპილამპიმ. მისი შედეგი — 13.40,2 — ფინეთის ახალი რეკორდია. ამერიკელი ფ. შორტერი მესამე იყო (13.45,0), ვინაიდან მას ფინელმა ლ. ვირენმაც (13.43,0) აჯობა. შეჯიბრებამ მაღალი შედეგები მოიტანა შუბის ტყორცნაში: მსოფლიო რეკორდსმენმა ი. კინუნენმა ეს იარაღი 90 მეტრზე გაგზავნა, ხოლო მეორე ფინელმა — ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა პ. ნევალამ — 89,16 მეტრზე. III ადგილი დაიკავა ამერიკელმა ბ. სკინერმა — 85,82 მ.

● **ვარშავა,** 27 აგვისტო. მ. იუშკო პირველი პოლონელი სპორტსმენია, ვინც 110 მეტრზე თარჯრბენში 14 წამის ზღვარიდან „გამოვიდა" — აქ გამართულ ასპარეზობაში 13,9 წამი აჩვენა. ეს პოლონეთის ძველ რეკორდს 0,1 წამით სჯობს.

● **ვეკშე,** 27 აგვისტო. ახალი სინთეტური მასალისსაფარიან ბილიკებზე გამართულ შვეციის ჩემპიონატში ქვეყნის ოთხი რეკორდი გაუმჯობესდა: 400 მეტრზე თარჯრბენში ტ. ტორსტენსონმა 50,8 წამი აჩვენა, 10000 მეტრზე რბენაში კი ნ. ნოიდემ — 29.03,8. ქალებში რეკორდსმენები გახდნენ: ი. ლუნდგრენი — 200 მ რბენა — 23,3 და ს. ილმანი — სიმაღლეზე ხტომა — 173 სმ.

● **ვერნიგეროდე** (გდრ), 27 აგვისტო. გდრ-ის „მფრინავმა მოთხილამურეებმა" სეზონი გახსნეს. ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებაში, წვიმის მიუხედავად, ჰ. შმიდტი 53,5 და 56 მეტრზე გადახტა, 228,5 ქულა მოაგროვა და 1,7 ქულით აჯობა ვ. შტიორს (54 და 51,5 მ). მესამე იყო მ. ვოლფი — 216,7 ქულა (51 და 55 მ).

● **ალმა-ათა,** 27 აგვისტო. ამ დღეებში, როცა ყაზახეთის რესპუბლიკა სახელოვანი 50 წლისთავის იუბილეს აღნიშნავს, მთამსვლელთა რესპუბლიკური კლუბის ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ალმაათელები და ყარაგანდელები (ხელმძღვანელი — სპორტის ოსტატი, მუსიკისმცოდნე ა. კელბერგი), კუნგეი-ალათაუს — ტიანშანის ერთ-ერთი ქედის უსახელო მწვერვალი დაიპყრო. პირველამსვლელთა უფლებით, მწვერვალს უწოდეს „ყაზახეთის სსრ 50 წლისთავი".

● **მოსკოვი,** 27 აგვისტო. ბალახის ჰოკეიში სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების დღეს აქ გამართულ მატჩში 20 წლის სვერდლოვსკელმა ლ. პავლოვსკიმ ორი 7-მეტრიანი საჯარიმოს გამოყენებით გამარჯვება მოუტანა საბჭოთა გუნდს — 2:1.

## ახალი ამბები

## ერთ-ერთი საუკეთესო

თბილისელი მოჭადრაკე ნ. სოროკინი უხუცესი საბჭოთა ოსტატია: იგი 70 წლისაა. ამას წინათ სოროკინმა მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ვეტერან ოსტატთა ტურნირში, რომელიც ლენინგრადში გაიმართა. თბილისელმა მოჭადრაკემ I-II ადგილები გაიყო ბაქოელ საერთაშორისო ოსტატთან, 66 წლის ვ. მაკოგონოვთან. ამ ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო პარტიად ნ. სოროკინ — ვ. კირილოვის (ლენინგრადი) შეხვედრა აღიარეს. გთავაზობთ ამ პარტიას სოროკინის შენიშვნებით.

**სოროკინი — კირილოვი**

რეტის დებიუტი

1. მf3 d5 2. b3

ფიგურების განვითარების საინტერესო სისტემა, რომელსაც ხალისით მიმართავს ბ. ლარსენი.

2. ... მf6 3. კb2 c5 4. e3 მc6 5. კe2 g6 6. 0—0 კg7 7. c4 d4 8. ed cd 9. d3 0—0 10. ეe1 e5

უფრო მშვიდობიანი იყო 10. ... ეe8. ახლა თეთრებს აქტიური თამაში აქვთ ლაზიერის ფრთაზე.

11. h4 მh5 (სჯობდა 11. ... მd7) 12. b5 მb8 13. მ:e5 კ:e5 14. კ:h5 ლc7 15. კf3 კ:h2+ 16. მფh1 კe5 (მუქარა იყო კ:d4 და g3) 17. მd2 მd7 18. მb3 მc5 19. მ:c5

არ შეიძლებოდა 19. კ:d4, 19. ... კ:d4 20. მ:d4 ლd6 21. კd5 კe6! გამო.

19. ... ლ:c5 20. კd5 ლe7 21. g3 ლf6 22. ლe2 კd6 23. ლf3!

ყველაზე ძნელი სვლა. ლაზიერების გაცვლით თეთრები პაიკს იგებდნენ: 23. ... ლ:f3 24. კ:f3 კc5 25. ეe5, მაგრამ კირილოვი გაურბის გაცვლას.

23. ... ლg7 24. კ:b7 ლh6+ 25. მფg1 კ:b7 26. ლ:b7 ლd2 27. კ:d4 ლ:d3 28. ლd5 ეad8 29. კ:a7 ლa3 30. კb6. შავები დანებდნენ.

## ტუმბა ახალ როლში

ახლო წარსულში ცნობილი შვედი ჰოკეისტი ტუმბა ახლა ახალ როლში გამოდის: ჰოკეისტის ჰოკიჯოხა მან გოლფის სათამაშო ჰოკიჯოხით შეცვალა. სპორტული ალჭურვილობის შეცვლამ ტუმბასთვის კარგად ჩაიარა: სკანდინავიის გოლფის ოსტატთა ღია პირველობაში, რომელიც ოსლოში გაიმართა, ტუმბამ I ადგილი მოიხვეჭა — ფინალში დანიელ ი. იაკობსენს სძლია. (საკდესი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 7 უე 05741